

*ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის 2016 წლის შესრულების ანგარიში*

გეგმიური ღონისძიებების შესაბამისად, წარმოგიდგენთ ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეულ საქმიანობის ანგარიშს განყოფილებების მიხედვით:

**შესყიდვების განყოფილების მიერ 2016 წელს განხორციელებული საქმიანობა**

გაყოფილებაში 2016 წელს განსახილველად შემოვიდა 667 განცხადება და კორექსოდენცია რომელსაც მიაცა შესაბამისი მსვლელობა.

2016 წლის განმავლობაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შესყიდვების განყოფილების მიერ სულ გამოცხადებული იქნა 264 ელექტრონული და გამარტივებულ ელექტრონული ტენდერები, ხელშეკრულება გაფორმებული იქნა 206 ტენდერზე, სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე, წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების მიზნით წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციასა და მაგისტრალების ქსელის მოწყობაზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნაზე, სხვადასხვა კულტურულ და სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაზე და ა.შ. წარმოგიდგენთ სრულ ინფორმაციას 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ.

**სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები:**

2016 წლის განმავლობაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასრულდა ოთხი საბავშვო ბაღის მშენებლობა ჯამში ღირებულებით – 590 959 ლარი.

- ფერიის საბავშვო ბაღი ღირებულებით -330 000 ლარი;
- მახინჯაურის საბავშვო ბაღი ღირებულებით -363 300 ლარი;
- კირნათის საბავშვო ბაღი ღირებულებით -150 774 ლარი;
- ქედქედის საბავშვო ბაღი ღირებულებით -43 875 ლარი;

სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ოთხ საბავშვო ბაღს ღირებულებითი –162 839 ლარი:

- ორთაბათუმის საბავშვო ბაღი ღირებულებით – 44 554 ლარი;
- თხილნარის საბავშვო ბაღი ღირებულებით – 29 786 ლარი;
- ჭარნალის საბავშვო ბაღი ღირებულებით – 56 999 ლარი;
- განთიადის საბავშვო ბაღი ღირებულებით – 31 500 ლარი;
- მშენებლობა დაიწყო ხელვაჩაურში საბავშვო ბაღზე, რომელიც არის გარდამავალი პროექტი და უნდა დასრულდეს 2017 წელში. 2016 წელს ხელვაჩაურის ბაღის მშენებლობაზე დაიხარჯა 396 900 ლარი, ხოლო 2017 წელს უნდა დაიხარჯოს 183391 ლარი;

სულ ჯამში საბავშვო ბაღების მშენებლობაზე და რემონტზე დაიხარჯა 1 150 698 ლარი;

- სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის 2016 წელს დაიწყო სოციალური სახლის მშენებლობა, რომელიც გარდამავალი პროექტია და უნდა დასრულდეს 2017 წელში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 2016 წელს აღნიშნული პროექტისთვის დახარჯული იქნა 700 000 ლარი, ხოლო 2017 წელს უნდა დაიხარჯოს 732786 ლარი;
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებულ კულტურის სახლს ღირებულებით 837 554 ლარი;
- 2016 წელს გაფორმებული იქნა ხელშეკრულება სოფელ ახალშენის მუსიკალური სკოლისა და კულტურის სახლის რეკონსტრუქციაზე, რომელიც გარდამავალი პროექტია და დასრულდეს უნდა 2017 წელს, 2016 წელს დაფინანსდა 113 000 ლარით, ხოლო 2017 წელში 289199 ლარი;

წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების მიზნით წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციასა და მაგისტრალების ქსელის და ჭაბურღილების მოწყობაზე სულ დაიხარჯა 2 665 386 ლარი;

- მტირალა-ყოროლისთავის წყალსადენის მოწყობაზე 2016 წელს დაიხარჯა 923 620 ლარი, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოებისათვის ტენდერი გამოცხადდა 1 819 835 ლარზე და ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წელში;

- სოფ. ზედა სამების სასმელი წყლის მაგისტრალისა და აუზის რეაბილიტაცია ღირებულებით – 50 037 ლარი;
- სოფ.მასაურაში 10 ტონიანი სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა ღირებულებით – 9198 ლარი;
- სოფ. განახლებაში სასმელი წყლის მაგისტრალის და ჭაბურღილის მოწყობა ღირებულებით – 93 070 ლარი;
- სოფ. განთიადში მეურნეობის დასახლებაში ჭაბურღილისა და წყალსადენის მოწყობა ღირებულებით – 101 065 ლარი;
- ლობიამეღეს დასახლებაში 125 ოჯახისათვის ჭაბურღილის მოწყობა ღირებულებით – 183 814 ლარი;
- სოფელ შარაბიძეებში ემზარ დუმბაძის სახლიდან ალექსანდრე ჯაიანის მიმართულებით ჭაბურღილის, რეზერვუარისა და მაგისტრალის მოწყობა ღირებულებით – 150 072 ლარი;
- სოფ. შარაბიძეებში ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობა ღირებულებით – 125 154 ლარი;
- სოფ. თხილნარში აგარის წყალსადენის რეაბილიტაცია ღირებულებით – 42 000 ლარი;
- სოფ. წინსვლა-სამების სასმელი წყლის აუზისა და ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია ღირებულებით – 29 103 ლარი;
- ჭარნალში სასმელი წყლის სათავე ნაგებობებში სალექარის მოწყობა ღირებულებით – 25 129 ლარი;
- სოფ. თხილნარის მეურნეობაში არსებული წყალსადენის მაგისტრალისათვის დამატებითი კაპტაჟების და ქსელის მოწყობა ღირებულებით – 97 500 ლარი;
- სოფ. დავითაძეებში 60 ოჯახისათვის 60ტ. წყლის აუზისა და მაგისტრალის მოწყობა ღირებულებით – 170 000 ლარი;
- სოფ. სიმონეთში სასმელი წყლის მიღებისა და სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია ღირებულებით – 86 000 ლარი;
- სოფ. მახლავეთში 40 ოჯახისათვის წყალმომარაგების მოწყობა ღირებულებით – 174 999 ლარი;
- სოფ. წინსვლაში 1500 გრძ/მ სასმელი წყლის მილის მოწყობა ღირებულებით – 94 998 ლარი;
- თხილნარის მეურნეობაში სოფ. ომბოლოს დასახლებისათვის 50 ტ. წყლის აუზისა და მაგისტრალის მოწყობა ღირებულებით – 57 708 ლარი;
- სარფის წყალსადენის რეკონსტრუქცია ღირებულებით – 52 227 ლარი;
- სოფ. აჭარისწყლის ცენტრში 80 ტ. სასმელი წყლის აუზისა და 2000 გრძ/მ მაგისტრალის მოწყობა ღირებულებით – 199 692 ლარი;

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის განკარგულებით 2016 წელს გამოეყო 1 401 335 ლარი, რაზეც გამოცხადებული იქნა ტენდერი და გაფორმებული იქნა ხელშეკრულება გამარჯვებულ კომპანიასთან „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში M-250 მარკიანი მზა სასაქონლო ბეტონის შესყიდვაზე;

ხელვაჩაურის მინიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში 2016 წლის განმავლობაში გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები სტიქიით დაზარალებული 42 მოსახლისათვის ფერდსამაგრი კედლების მოწყობაზე ღირებულებით 437 825 ლარი;

ამხანაგობის პროგრამის ფარგლებში გადაიხურა სამი მრავალბინიანი საცოვრებელი სახლი ღირებულებით - 84 694 ლარი;

ხელშეკრულებები გაფორმებული იქნა ოთხი სანიაღვრე არხის მოწყობაზე ღირებულებით – 139 382 ლარი;

ხელშეკრულებები გაფორმებული იქნა სპორტული მოედნების რეაბილიტაციასა და შეკეთებაზე ჯამში ღირებულებით – 264 174 ლარი

- სოფ. ორთაბათუმში საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია ღირებულებით – 38 390 ლარი;

- სოფელ ზანაქიძეებში არსებული მინი საფეხბურთო მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია ღირებულებით – 105 990 ლარი;
- ერგეს ცენტრში სპორტული მოედნის შეკეთება ღირებულებით – 49 999 ლარი;
- ზედა ჯოჭოში სპორტული მოედნის კეთილმოწყობა ღირებულებით – 49 998 ლარი;
- სოფ. მახოში არსებული საჭიდაო დარბაზის კეთილმოწყობა ღირებულებით – 19 797 ლარი;

სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ ამბულატორიებს ჯამში ღირებულებით – 216 553 ლარი;

- სოფ. აგარას ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია ღირებულებით – 7 298 ლარი;
- სოფ. წინსვლაში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია ღირებულებით – 6 989 ლარი;
- სოფ. კაპრეშუმში არსებული სამედიცინო პუნქტის რეაბილიტაცია ღირებულებით – 50 575 ლარი;
- სოფ. მახოში ამბულატორიისათვის სასმელი წყლისა და საპირფარეოს მოწყობა ღირებულებით – 14 080 ლარი;
- სოფ. ორთაბათუმის მედპუნქტისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი ღირებულებით – 137 611 ლარი;

გამოცხადებული იქნა ტენდერები და გაფორმდა ხელშეკრულებები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ცენტრების კეთილმოწყობაზე ღირებულებით – 371 844 ლარი;

- სოფ. თხილნარის ცენტრის კეთილმოწყობა ღირებულებით – 64 999 ლარი;
- სოფ. ჭარნალის ცენტრის კეთილმოწყობა ღირებულებით – 21 999 ლარი;
- სოფ. ქედქედის ცენტრის კეთილმოწყობა ღირებულებით – 61 570 ლარი;
- სოფ. ორთაბათუმის ცენტრის კეთილმოწყობა ღირებულებით – 86 571 ლარი;
- სოფ. ერგეს ცენტრის კეთილმოწყობა ღირებულებით – 73 250 ლარი;
- სოფ. ახალშენის ცენტრის კეთილმოწყობა ღირებულებით – 35 455 ლარი;
- სოფ. აჭარისწყლის ცენტრის კეთილმოწყობა ღირებულებით – 58 000 ლარი;

ხელშეკრულებები გაფორმდა სხვადასხვა სამუშაოებზე:

- შამხოს მოწყობა ღირებულებით – 12 000 ლარი;
- ეზოს კეთილმოწყობა ღირებულებით – 31 300 ლარი;
- მოსაცდელების მოწყობა ღირებულებით – 7900 ლარი;
- ერგეში დაზიანებული ხიდის შეკეთება ღირებულებით – 29 230 ლარი;
- სოფ. ნაკირნათევის დაწყებითი სკოლისა და ზედა კირნათის დაწყებითი სკოლის ეზოს კეთილმოწყობა ღირებულებით – 30 743 ლარი;
- სოფ. გვარასა და მირვეთში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ღირებულებით – 8 058 ლარი;
- ჩიქუნეთის სასოფლო კლუბის სახურავისა და შენობის სარემონტო სამუშაოები ღირებულებით – 79 993 ლარი;

2016 წლის განმავლობაში თექვსმეტი ხელშეკრულება გაფორმებული იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში გარე განათების მოწყობაზე რაზეც დაიხარჯა – 355 116 ლარი;

2016 წლის განმავლობაში გამოცხადებული იქნა ტენდერები და შეძენილი იქნა სულ 210 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები ღირებულებით – 92 664 ლარი;

- 129 პროექტი ფერდსამაგრი კედლების მოწყობაზე;
- 17 პროექტი წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციასა და შეკეთებაზე;
- 14 პროექტი გარე განათების მოწყობაზე;
- 8 პროექტი სპორტული მოედნების რეაბილიტაციასა და რემონტზე;
- 9 პროექტი გზების შეკეთების რეაბილიტაციაზე;
- 7 პროექტი ამბულატორიების რეაბილიტაციასა და რემონტზე;
- 6 პროექტი ცენტრების კეთილმოწყობაზე;
- 5 პროექტი სანიაღვრე არხების მოწყობაზე;
- 3 პროექტი ბაღების მშენებლობაზე;
- 3 პროექტი სკოლების რემონტზე;
- 9 პროექტი სხვადასხვა სახის სირთულის სამუშაოებზე;

სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაზე გაფორმებული იქნა ოთხი ხელშეკრულება სხვადასხვა პრეტენდენტებთან ღირებულებით – 20 035 ლარი;

გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები კულტურული ღონისძიების ორგანიზებაზე სულ თორმეტი ხელშეკრულება ჯამში ღირებულებაზე – 102 715 ლარი;

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბაღების კეთილმოსაწყობად შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის ინვენტარი კერძოდ:

ავეჯი, სათამაშოები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ელექტრო საქონელი, სამზარეულო მოწყობილობები, რბილი ქსოვილის ნივთები, პრინტერები, კომპიუტერები, საკანცელარიო საქონელი და საბავშვო ლიტერატურა რაზეც ჯამში დაიხარჯა – 355 281 ლარი;

გამოცხადებული იქნა ტენდერები და გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები:

ხელვაჩაურის ტერიტორიის სანიტარულ დასუფთავებაზე, გარე განათების წერტილების მოვლაზე, ხელვაჩაურის ტერიტორიაზე ეპილეფსიით და პარკინსონით დაავადებულთათვის მედიკამენტების შეძენაზე, სხვადასხვა სახის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალურ პროგრამებზე, ატრაქციონების შეძენაზე, საკანცელარიო საქონლის შეძენაზე და ა.შ.

2016 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით გაფორმებული იქნა 58 ხელშეკრულება სხვადასხვა სახის შესყიდვებზე კერძოდ:

საწვავის შეძენა (კონსოლ. ტენდერის ფარგლებში), სატელეფონო მომსახურება (კონსოლ. ტენდერის ფარგლებში), კომპიუტერების შეძენა (კონსოლ. ტენდერის ფარგლებში), საფოსტო მომსახურება, შენობის დაცვის მომსახურება, ხელვაჩაურის ტერიტორიაზე 21 ბენეფიციარის უფასო კვებით მომსახურება, ავტომობილების სარემონტო სამუშაოები და ა. შ. სულ ჯამში გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები – 359 908 ლარზე;

### **ეკონომიკის და სტატისტიკის განყოფილების მიერ 2016 წელს**

#### **განხორციელებული საქმიანობა**

2016 წელს ეკონომიკის და სტატისტიკის განყოფილება სისტემატურად ახორციელებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი საქმიანობები:

✓ სისტემატურად ახორციელებდა ეკონომიკური განვითარების დასაგეგმად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას.

✓ ახორციელებდა მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზსა და საჭირო წინადადებების შემუშავებას.

✓ ახორციელებდა მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

აღნიშნული ფუნქციების განხორციელების პროცესში ეკონომიკის და სტატისტიკის განყოფილებამ გამგეობის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის შედეგად მოამზადა:

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა;
- საინფორმაციო ბროშურა 2013-2015 წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი სოციალური პროექტებისა და პროგრამების შესახებ;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი;
- დეტალური ინფორმაცია 2013-2015 წლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;
- განახლებული სტატისტიკური მონაცემების ერთიანი ბაზა;
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ სტატისტიკურ-ანალიტიკური მიმოხილვა;
- 2017 და შემდგომი წლების პრიორიტეტული ღონისძიებების კლასიფიცირებული ჩამონათვალი;
- საბავშვო ბაღების მშენებლობის შესახებ ანალიზი და სოციალური ეფექტის განსზღვრა;
- ანალიზი ფერდსამაგრი სამუშაოების აქტუალობის შესახებ და უკანასკნელ წლებში განხორციელებული პროექტების მიმოხილვა;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული სამუშაოს ყოველკვარტალური მონაცემების ანალიზი;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგებლის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ხედვებისა და წინადადებების ანალიზი;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ანგარიშის პრეზენტაცია თანდართულ ფოტო-მასალასთან ერთად;
- სხვადასხვა აქტუალური თემების შესახებ (მაგ: გენდერი და სხვ.) მუნიციპალურ დონეზე სტატისტიკური მიმოხილვა;

ეკონომიკის და სტატისტიკის განყოფილება აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა სახის აქტივობებში.

განყოფილებას განსახილველად დაეწერა 100-მდე კორესპოდენცია (მოქალაქეთა განცხადება, სხვადასხვა წინადადებები და ა.შ.) რომელსაც მიეცა შესაბამისი მსვლელობა.

**სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსებით  
სარგებლობის განყოფილების მიერ 2016 წელს  
განხორციელებული საქმიანობა**

2016 წლის განმავლობაში განყოფილებაში სულ შემოვიდა 856 სხვადასხვა სახის კორესპოდენცია რომელსაც მიეცა მსვლელობა.

სოფლის მეურნეობის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს განყოფილება მონაწილეობას ღებულობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ფერმერთა შესარჩევ კომისიაში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გადმოგვცა 160 სხვადასხვა სახის სასოფლო სამეურნეო ტექნიკა რაც განაწილებული იქნა მოსახლეობაზე, ასევე განყოფილება ეტაპობრივად უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში მცირე მიწიან ფერმერთა ხელშეწყობის მიზნით

სასოფლო-სამეურნეო ბარათების განაწილებას განყოფილების მიერ შექმნილი ბაზების მიხედვით როგორც სახნავის ასევე მრავალწლოვან ბარათები სულ პროგრამით სარგებლობს 16250 მიწათ მოსარგებლე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დარიგდა სახნავი ბარათები რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო მოსახლეობამ დააბრუნა, ხოლო განყოფილებამ უზრუნველყო საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში დაბრუნება და სანაცვლოდ ფერმერებს დაერიცხებათ აგრო ბარათებზე შესაბამისი ქულები.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კუთხით განყოფილება განიხილავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზეზემდგომიარე ხეების მოჭრის ან/და გადაბეღვის საკითხებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სკრებულოს 2014 წლის 30 აპრილის N41 დადგენილების შესაბამისად.

2016 წლის განმავლობაში 34 მოსახლეზე განაწილებული იქნა პირველი ხარისხის სამასალე ხე-ტყე სულ 175 მ3 ოდენობით.

2016 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჭრით მიღებული სასემე ხე-ტყე განაწილებული იქნა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, ასევე სისტემატურად მიმდინარეობს როგორც სამასალე ასევე საშემე ხე-ტყის ადგილწარმოშობის ცნობების გაცემა.

2016 წლის განმავლობაში განყოფილებამ გამოავლინა ორი ხე-ტყის მოპოვების უკანონო ფაქტი და გაატარა ადმინისტრაციული ჯარიმები.

### **ქონების მართვის განყოფილების მიერ 2016 წელს**

#### **განხორციელებული საქმიანობა**

ქონების მართვის განყოფილებაში 2016 წელს სულ შემოსულია 1031 განცახდება - კორესპოდენცია სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით რომელსაც მიეცა შესაბამისი მსვლელობა.

2016 წლის განმავლობაში განყოფილების მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული იქნა სხვადასხვა სახის ობიექტი, აქედან ძირითადად დარეგისტრირდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ რეაბილიტირებული თუ ახლად აშენებული წყლის სათავე ნაგებობები, რეზერვუარები, ბასეინები და წყლის მილები. ასევე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე გადმოცემული იქნა სხვადასხვა სახის უძრავი ქონება.

უზუფრუქტის წესით დროებით სარგებლობაში გადაცემული იქნა შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები, კერძოდ ააიპ „ხელვაჩაურის სასპორტო სკოლას“ უზუფრუქტის წესით გადაეცა სოფელ ხელვაჩაურში მდებარე შენობა-ნაგებობა, მასზე მიმაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ასევე აღნიშნულ ორგანიზაციაზე გადაცემული იქნა ის მოძრავი ქონებაც, რომელსაც სარგებლობდნენ.

ქ. ბათუმის მერიას უზუფრუქტის წესით გადაეცა ქ. ბათუმში, დასახლება კაპანდიში მდებარე შენობა-ნაგებობა, მასზე მიმაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული იქნა უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გადაეცა ქ. ბათუმში, დიდაწარის ქუჩა N23-ში მდებარე შენობა-ნაგებობიდან ერთი ოთახი.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს გადაეცა სოფელ აჭარის აღმართში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული მთლიანი ფართი;

ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოებს“ უზუფრუქტის წესით გადაეცათ სოფელ განთიადში, სოფელ ახალსოფელსი და სოფელ თხილნარში არსებული სასაფლაოები;

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული იქნა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზეც მათ გადაეცათ მატერიალური საშუალებები შემდგომში სამაშველო სამსახურისათვის გადასაცემათ.

შ.პ.ს. „ხელვაჩაურის წყალკანალს“ გადაეცა თხოვების ფორმით ავტომანქანა „კამაზი“;

ააიპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურს თხოვების ფორმით გადაეცა ავტომანქანა „ნისან ნავარო“

სერვიტუტით, მისასვლელი გზისთვის დატვირთული იქნა რვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მოქალაქეებს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სრულყოფილად გამოყენების საშუალება მიეცათ.

შვიდი მოქალაქის განცხადების საფუძველზე ჩატარდა ბინის პრივატიზაცია და საკუთრებაში გადაეცათ მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლები;

თხოვების ფორმით, მოვლა-პატრონობისათვის სამი ერთეული მოტობლოკი გადაეცა სოფელ ჩხუტუნეთში მცხოვრებ ნოდარ ბასილამეს, ჯიმშერ კირკიტამესა და იაშარ გორამეს.

შესყიდული და მიღებული იქნა ხელვაჩაურის საბავშო ბაღებისათვის სპორტსკოლისათვის ინვენტარი, რომლებიც გადაცემული იქნა შესაბამის აიპებზე.

იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში აუქციონის წესით გადაცემული იქნა ქ. ბათუმში, სამრეწველო ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთი მასზე ბეტონის ქარხნის მოსაწყობად.

ასევე იჯარით გაიცა გამგეობის შენობაში არსებული ფართი საქართველოს პარლამენტის დეპუტატის ბიუროს განთავსებისათვის.

რეკლამის განთავსების მიზნით დროებით სარგებლობაში გადაცემული იქნა სარფის ტერიტორიაზე შვიდი ერთეული მიწის ნაკვეთი.

სარფის ცენტრში იჯარით გაიცა საზოგადოებრივი დანიშნულების 27 ობიექტი, კერძოდ მაღაზიები გაიცა სამი წლის ვადით დროებით სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით.

იჯარით გაცემული იქნა ქ. ბათუმში, დასახელება ხელვაჩაურში მდებარე 34 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ელექტრონული აუქციონის გზით იჯარით გაიცა სოფელ სარფში, სოფელ ახალსოფელში და ქ. ბათუმში, დასახელება გონიოში არსებული მიწის ნაკვეთები, (სულ ოთხი ობიექტი) ხოლო სოფელ სარფში მდებარე სავალუტო ჯიხური.

ელექტრონული აუქციონის გზით პრივატიზირებული იქნა ორი ავტომანქანა და სამი ერთეული მიწის ნაკვეთი.

განყოფილების მიერ მომზადებული იქნა დამოუკიდებელი აუდიტიტორული დასკვნები და აზომვითი ნახაზები.

2016 წელს სამსახურის მიერ განხილული იქნა 2654 განცხადება და კორესპოდენცია რომელზეც გაცემული იქნა პასუხები და მიეცა შესაბამისი მსვლელობა.

ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის თანამშრომლები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებისა და განკარგულებების შესაბამისად ჩართულია სხვადასხვა კომისიებში.